



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 10, 2024

სარჩევი

| | |
|--|---|
| ნავთობი და გაზი | 2 |
| საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტში რუსეთის წილი გაიზარდა, აზერბაიჯანულის - შემცირდა..... | 2 |
| „საქართველოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპის გაზით მომარაგების და ენერგოსაფრთხოების კუთხით“..... | 3 |
| ელექტროენერგეტიკა..... | 3 |
| მსოფლიო ბანკმა ესკო-ში კიბერუსაფრთხოების ტრენინგი ჩაატარა..... | 3 |
| მზის კოსმოსური ენერჯის პროექტმა წარმატებებით და მიღებული გაკვეთილებით დაასრულა პირველი კოსმოსური მისია..... | 4 |
| განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა..... | 5 |
| სუფთა ენერჯის „ოქროს ციებ-ცხელება“ - ბუნებრივი წყალბადის მარაგი საკმარისია ასობით წლისთვის | 5 |
| დაბალი მოთხოვნის გამო, Chevron-მა ბიოდიზელის რამდენიმე საწარმო დახურა..... | 5 |
| კლიმატის ცვლილება..... | 6 |
| თებერვალში მსოფლიო ოკეანის ზედაპირის საშუალო ტემპერატურამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია - საფრთხეები იზრდება: მეცნიერები შიშობენ, რომ მალე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ყინულის გარეშე დარჩება..... | 6 |
| "არქტიკული ზღვის ყინული სულ რაღაც 10 წელიწადში დადნება" - რას ამბობენ მეცნიერები ახალ კვლევაზე დაყრდნობით | 7 |
| ღონისძიებები | 8 |

ნავთობი და გაზი

საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტში რუსეთის წილი გაიზარდა, აზერბაიჯანულის - შემცირდა

2024 წლის იანვარში საქართველომ 64.5 მილიონი დოლარის ღირებულების ბუნებრივი აირი შეიძინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28%-ით ნაკლებია. საქსტატის ანგარიშიდან ირკვევა, რომ კლების ძირითადი მიზეზი აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის შესყიდვის შემცირებაა.

2024 წლის იანვარში შესყიდული ბუნებრივი აირის მოცულობები და ღირებულება ასე ნაწილდება:

აზერბაიჯანი - 33 მილიონი დოლარი (კლება წინა წელთან 41%), მოცულობა 207 ათასი ტონა (საქსტატის თანახმად);

რუსეთი - 33.7 მილიონი დოლარი (კლება წინა წელთან 3%), მოცულობა 129 ათასი ტონა.

შედეგად, საქართველოს მიერ მიღებულ მთლიან ბუნებრივ აირში 335 ათას ტონაში, რუსული გაზის წილი 38%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც 2023 წლის იანვარში რუსული გაზის წილი 34% იყო.

რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ბაქოში გამართულ სამხრეთის გაზის დერეფნის მინისტრიალზე განაცხადა, რომ საქართველომ ევროკავშირის სასარგებლოდ 1.1 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა დათმო. ეს კი ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საქართველო შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის მეტ აქცენტს გააკეთებს რუსულ გაზზე.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ხელშეკრულება გააფორმა SOCAR-თან გაზის ნაკადების დროებით EU-სკენ გადამისამართებაზე. ამ შეთანხმებით რომლითაც საქართველო უფლებამოსილია, შეიძინოს გაზი SCP პროექტის ხელშეკრულებებით. შედეგად, ყოველწლიურად ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი გამტარუნარიანობა - დაახლოებით 1,1 მილიარდი კუბური მეტრი, რომელიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზის გაზრდილი ექსპორტისთვის ევროპის ქვეყნებში.

ევროკავშირი აზერბაიჯანულ ბუნებრივ აირს სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) და მისი გაგრძელებების, ტრანს-ანატოლიური და ტრანს-ადრეატიკული მილსადენებით გავლით იღებს. 2023 წელს მილსადენ SCP-ის სატრანზიტო დატვირთვამ 21.4 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 2022 წელთან შედარებით 1.6 მილიარდი კუბური მეტრით მეტი იყო. ამ მილსადენიდან საქართველოს მიერ ბუნებრივი აირის მიღების საკითხს შაჰ-დენიზის კონსორციუმთან გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულება არეგულირებს.

რაც შეეხება რუსეთიდან მიღებულ ბუნებრივ აირს, რუსულ გაზს საქართველო ჩრდილოეთი სამხრეთის მაგისტრალური მილსადენიდან ყიდულობს. ამ გაზსადენის საშუალებით რუსული Gazprom-ი სომხეთს ბუნებრივ აირს აწვდის. 2022 წელს ამ მილსადენის დატვირთვა 2.3 მილიარდი კუბური მეტრი იყო.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/Ww19huye>

„საქართველოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპის გაზით მომარაგების და ენერგოუსაფრთხოების კუთხით“

საქართველო სამხრეთის გაზის დერეფნის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს. პროექტი 10 წლის წინ დაიწყო და დღეს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ევროპის გაზით მომარაგების კუთხით, ასევე ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის, რაშიც საქართველოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

ლევან დავითაშვილმა დღეს ბაქოში მიმდინარე სამხრეთის გაზის დერეფნის მრჩეველთა საბჭოს მე-10 მინისტრიალის სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

მინისტრიალზე სამხრეთის გაზის დერეფნის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებმა, ასევე ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში კადრი სიმსონმა პროექტის მიმდინარე საკვანძო საკითხები და მისი განვითარების სამომავლო ხედვა და გეგმები განიხილეს. მინისტრთა სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი აქცენტს იმ გარემოებაზე აკეთებს, რომ სამხრეთის გაზის დერეფნის უმნიშვნელოვანესი მაგისტრალები სწორედ საქართველოზე გადის და კასპიის ზღვიდან გაზის მიწოდება საქართველოს აქტიური თანამონაწილეობის და ჩართულობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

„ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს როგორც ევროპულ პარტნიორებთან, ისე, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, იმისთვის, რომ ამ პროექტის შესაძლებლობები მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზარდოს და მან კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულოს ევროპის გაზით მომარაგების მიმართულებით. რა თქმა უნდა, საქართველოსაც აქვს თავისი ეკონომიკური ინტერესები და ისინი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოხატული“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ბაქოში მიმდინარე შეხვედრა საქართველოსთვის ასევე სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ ის კარგი შესაძლებლობაა პარტნიორ ქვეყნებთან ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ამ კუთხით თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/Nw19hznP>

ელექტროენერგეტიკა

მსოფლიო ბანკმა ესკო-ში კიბერუსაფრთხოების ტრენინგი ჩაატარა

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) მენეჯმენტისა და თანამშრომლებისთვის მსოფლიო ბანკის ენერგეტიკული მისიის წარმომადგენლებმა კიბერუსაფრთხოების შესახებ ორდღიანი ტრენინგი ჩაატარეს.

"თანამედროვე გამოწვევათა შორის აქტუალურია მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა. ესკო „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეყვანილია პირველი კატეგორიის საინფორმაციო სისტემის ორგანიზაციათა ჩამონათვალში, რაც გულისხმობს ორგანიზაციის აღჭურვას კანონის დებულებების აღსრულებაზე მოქნილად მორგებული

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებით, ასევე, თანამშრომელთა ინფორმირებასა და მზადყოფნას კიბერშეტევების საპრევენციოდ" - აცხადებენ ესკო-ში.

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა და მსოფლიო ბანკის ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოებისა და გამლიერების მისიის ჯგუფს შორის შეხვედრა გასული წლის ბოლოსაც გაიმართა, ესკოს საერთაშორისო სტანდარტის - ISO 27001 სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელი კონსულტაციის ფორმატში.

მსოფლიო ბანკის ენერგეტიკული მისიის მთავარი მიზანია განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერა ენერგეტიკული უსაფრთხოების გამლიერების მიმართულებით (ESPIRE პროგრამა), შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის (BSSC) პროექტის მხარდაჭერა, გადამცემი ქსელების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოების მონიტორინგი და ასევე ენერგეტიკული კომპანიების დახმარება მათი ინფორმაციული მართვის სისტემების საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/jw19hHiK>

მზის კოსმოსური ენერჯის პროექტმა წარმატებებით და მიღებული გაკვეთილებით დაასრულა პირველი კოსმოსური მისია

ერთი წლის წინ, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევართა გუნდმა გაუშვა კოსმოსში მზის კოსმოსური ენერჯის დემონსტრატორი (SSPD-1), სამი ტექნოლოგიური ინოვაციის დემონსტრირებისა და ტესტირებისთვის, რაც ერთ-ერთი ცდაა იმისთვის, რომ მზის კოსმოსური ენერჯია რეალობად იქცეს.

კოსმოსურმა საცდელმა სტენდმა აჩვენა კოსმოსში ელექტროენერჯის უსადენოდ გადაცემის უნარი; მან გაზომა კოსმოსში სხვადასხვა ტიპის მზის ელემენტების ეფექტურობა, გამძლეობა და ფუნქციონირება; რეალურ პირობებში ჩაატარა ცდები მსუბუქ ასაწყობ კონსტრუქციაზე ზემოაღნიშნული მზის უჯრედების და ენერჯის გადამცემების მიწოდებისა და დამაგრებისთვის.

ახლა, როდესაც SSPD-1-ის მისია კოსმოსში დასრულდა, ინჟინრები დედამიწაზე ზეიმობენ საცდელი სტენდის წარმატებებს და სწავლობენ მნიშვნელოვან გაკვეთილებს, რაც დაეხმარება მზის კოსმოსური ენერგეტიკის მომავლის დასახვას.

"კოსმოსიდან გამოსხივებული მზის ენერჯის კომერციალიზაცია ჯერ კიდევ მომავლის პერსპექტივაა. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესმა მისიამ აჩვენა, რომ ის მიღწევადი მომავალია", - ამბობს ინსტიტუტის პრეზიდენტი და ფიზიკის პროფესორი თომას ფ. როზენბაუმი.

წყარო: sciencedaily - <https://cutt.ly/cw19h9VY>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

სუფთა ენერჯიის „ოქროს ციებ-ცხელება“ - ბუნებრივი წყალბადის მარაგი საკმარისია ასობით წლისთვის

მიწისქვეშეთში არის საკმარისი ბუნებრივი წყალბადი, რათა დააკმაყოფილოს კაცობრიობის ყველა პროგნოზირებული მოთხოვნილება ასობით წლის განმავლობაში.

ბოლო წლებში მეცნიერებმა დიდი დრო დახარჯეს განახლებადი ენერჯიის წყაროების გამოყენებით მწვანე წყალბადის წარმოების ახალი ხერხების შექმნაზე. წყალბადი არის სუფთა საწვავი, მრავალგვარი დანიშნულებით. ის შეიძლება დაიწვას, როგორც ნახშირწყალბადიანი საწვავის შემცველი, ჩვეულებრივი შიდაწვის ძრავების მცირე მოდიფიცირებით. ის ასევე შეიძლება გავატაროთ საწვავის ელემენტში ელექტროენერჯიის გამოსამუშავებლად.

მაგრამ მის წარმოებას ბევრი მტკნარი წყალი სჭირდება - დაახლოებით 9 ლიტრი ყოველ 1 კგ წარმოებულ წყალბადზე. და მიუხედავად იმისა, რომ ელექტროლიზის პროცესი უმჯობესდება, იგი მაინც რჩება დანაკარგებიან გზად. ეს ცოტა მფლანგველურად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ ელექტროენერჯიის სწრაფად მზარდ მოთხოვნებს, რაც ენერგოსისტემებმა მთელ მსოფლიოში უნდა დააკმაყოფილონ, და ამავდროულად უნდა განთავისუფლდნენ წარსულის „ბინძური“ ენერჯიის წყაროებისგან.

ჯეფრი ელისი, აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის თანამშრომელი, იკვლევს გეოლოკირებული "ოქროს" წყალბადის, როგორც ახალი პირველადი რესურსის გლობალურ პოტენციალს. მთელ მსოფლიოში მიწისქვეშა რეზერვუარებში 5,5 ტრილიონი ტონა წყალბადია. ზოგიერთ შემთხვევაში, ის შეიძლება შერეული იყოს სხვა გაზებთან, როგორცაა მეთანი, რაც საჭიროებს მის გამოცალკევებას. მაგრამ არის ისეთი უზარმაზარი რაოდენობით, რომ ანალიტიკოსები ელიან წყალბადის „ოქროს ციებ-ცხელებას“ მსოფლიო მასშტაბით.

„წყალბადის დიდი ნაწილი სავარაუდოდ მიუწვდომელია. თუმცა, რამდენიმე პროცენტის მიღებაც კი უზრუნველყოფს მთელ პროგნოზირებულ მოთხოვნას - 500 მილიონ ტონას წელიწადში - ასობით წლის განმავლობაში,“ - განაცხადა ელისმა.

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/jw19jocz>

დაბალი მოთხოვნის გამო, Chevron-მა ბიოდიზელის რამდენიმე საწარმო დახურა

ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეორე უმსხვილესმა ნავთობმწარმოებელმა Chevron-მა ქვეყნის შუა-დასავლეთ ნაწილში ბიოდიზელის რამდენიმე საწარმოს მუშაობა განუსაზღვრელი ვადით შეაჩერა. კომპანიის განცხადებით, მიზეზი ბაზრის არასახარბიელო მდგომარეობაა.

Chevron-მა საწარმოები იოვაში, მედისონსა და ვინსკონსინში დახურა. Reuters-ის ინფორმაციით, აღნიშნულ საწარმოებს ყოველწლიურად ჯამში 50 მილიონი გალონი ბიოდიზელის წარმოება შეეძლო.

ბიოდიზელი აგროპროდუქტია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ზეთებისა და ცხოველური ცხიმებისგან იწარმოება. მისი წარმოება კი გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ნავთობისგან მიღებული დიზელი, თუმცა ბიოდიზელის წვა გაცილებით უფრო სუფთაა. წარმოების ღირებულების კომპენსირებას კი პროცესის თანამდევ ბუნებრივი კრედიტების გამომუშავება ახდენს.

ბოლო თვეებში ბიოდიზელზე ფასები დაეცა, რაც მიწოდების ზრდამ და განახლებადი ბუნებრივი კრედიტების ღირებულების სამწლიან მინიმუმამდე კლებამ გამოიწვია.

Chevron-მა ბიოდიზელის მწარმოებელი Renewable Energy Group 2022 წელს \$3.15 მილიარდად შეიძინა. მიზანი განახლებადი რესურსებისგან წარმოებული საწვავის მოცულობის ზრდა იყო - დღეში 100 000 კასრამდე. შეთანხმების თანახმად, Chevron-ს ბიოდიზელის 10 და განახლებადი დიზელის 1 საწარმო გადაეცა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/Ww19jzC2>

კლიმატის ცვლილება

თებერვალში მსოფლიო ოკეანის ზედაპირის საშუალო ტემპერატურამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია - საფრთხეები იზრდება: მეცნიერები შიშობენ, რომ მალე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ყინულის გარეშე დარჩება

მეცნიერები საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებენ. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ოკეანის ტემპერატურამ ბოლო თვეში უპრეცედენტოდ მოიმატა.

ეს ყველაფერი კი დედამიწის კლიმატს სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს.

მაგალითად, თებერვალში მსოფლიო ოკეანეების ტემპერატურამ რეკორდულ დონეს +21,06° ცელსიუსს მიაღწია.

Reuters-ის ცნობით, თებერვალში ოკეანის ზედაპირის საშუალო ტემპერატურამ უკვე გადაჭარბა წინა რეკორდს +20,98°-ს, რომელიც 2023 წლის აგვისტოში დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ 2024 წლის თებერვალი ზედიზედ მეცხრე თვე იყო, რომელმაც ოკეანეების თვიური ტემპერატურის რეკორდი მოხსნა.

ცნობილია, რომ ელ - ნინიო (ელ - ნინიო, როგორც ანომალური და გლობალური მოვლენა - გავლენას ახდენს მთელი დედამიწის კლიმატზე), ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ასევე ხელს უწყობს ტემპერატურის მატებას.

"კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, რომ წყლის ზედაპირის ტემპერატურის ზრდა რეკორდულ დონეზეა ელ-ნინიოს ცენტრიდან მოშორებულ რეგიონებშიც. მაგალითად, ტროპიკულ ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეში", - ამბობს კლიმატოლოგი **რიჩარდ ალანი** რედინგის უნივერსიტეტიდან. მისი თქმით, ეს მიუთითებს ატმოსფეროში სითბური გაზების გაზრდის ძლიერ გავლენაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ წყლის ზედაპირის ტემპერატურის გლობალური საშუალო მაჩვენებლები არ ითვალისწინებს მსოფლიო ოკეანის პოლარულ ნაწილებს, იქაც ვითარება საკმაოდ მძიმეა. ანტარქტიდის ზღვის ყინულმა თებერ-

ვალში მიაღწია წლიურ მინიმუმს - მთელი სივრცის 28%-ზე ყინულის საფარის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია.

მეცნიერთა თქმით, ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე შეიძლება მალე დარჩეს ზღვის ყინულის გარეშე, თითქმის 10 წლით უფრო ადრე, ვიდრე აქამდე წინასწარმეტყველებდნენ.

"ეს გარდაქმნის არქტიკას სრულიად განსხვავებულ გარემოდ - თეთრი ზაფხულის არქტიკიდან ლურჯ არქტიკამდე", - ამბობენ მეცნიერები.

მეცნიერთა თქმით, ელ-ნინიო ეკვატორულ წყნარ ოკეანეში ახლა სუსტდება, მაგრამ ოკეანეებზე ჰაერის ტემპერატურა მაინც უჩვეულოდ მაღალ დონეზე რჩება.

წყარო: reuters - <https://cutt.ly/Qw19j2EU>

"არქტიკული ზღვის ყინული სულ რაღაც 10 წელიწადში დადნება" - რას ამბობენ მეცნიერები ახალ კვლევაზე დაყრდნობით

ახალი კვლევის თანახმად არქტიკული ზღვის ყინული სულ რაღაც 10 წელიწადში დადნება - ამის შესახებ კოლორადოს ბოლდერის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა განაცხადა. მათი აღმოჩენის მიხედვით, ზაფხულში ყინული ჩვეულებრივზე მეტად დნება.

ნაკლები ყინული ნიშნავს, რომ ოკეანეები უფრო სწრაფად გაცხელდება, რაც ხელს შეუწყობს ხმელეთზე სიციხის ტალღებს. ზღვის ყინული, როგორც წესი, ყველაზე მცირე ზომისაა სექტემბრის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც ზაფხულის სიციხეში დნება. ეს არის ნორმალური წლიური ცვლილებები ზაფხულსა და ზამთარს შორის, რადგან ყინული ბუნებრივად დნება და ხელახლა იყინება.

ზღვის ყინულზე დაკვირვება 1978 წლიდან დაიწყო. 2023 წლის 19 სექტემბერს ყინულის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა. ახალი ანალიზის საფუძველზე, კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ ეს მაჩვენებელი 2020-იან ან 2030-იან წლებში გაუარესდება

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყინული 100%-ით დადნება - პირიქით, ეს ნიშნავს, რომ ოკეანეს ექნება მილიონ კვადრატულ კილომეტრზე ნაკლები (დაახლოებით 386,000 კვადრატული მილი) ყინულის საფარი. 2067 წლისთვის არქტიკა ყინულისგან თავისუფალი იქნებოდა, არა მხოლოდ სექტემბრის პიკზე, არამედ აგვისტოსა და ოქტომბერშიც.

მაგრამ ამ შემთხვევაში, სათბურის გაზების ემისიების შემცირება შეანელებს ყინულის დნობის ეტაპს, რადგან ეს პროცესი განსაკუთრებით მგრძობიარეა და სწრაფად რეაგირებს ნახშირბადის ემისიების ცვლილებებზე.

"მაშინაც კი, თუ ყინულის დნობა გარდაუვალია, ჩვენ მაინც უნდა შევამციროთ გამონახობი, რათა თავიდან ავიცილოთ ყინულის დნობის პროცესი", - თქვა კვლევის ავტორმა ალექსანდრა იანმა, ატმოსფერული და ოკეანის მეცნიერებების ასოცირებული პროფესორი CU Boulder's Arctic and Alpine Research Institute-ში.

წყარო: dailymail - <https://cutt.ly/Jw19kvm2>

ღონისძიებები

[ნიადაგის მომზადება მწვანე ეკონომიკისთვის - გაკვეთილები აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობისგან](#)

თარიღი: 13-14 მარტი, 2024

ადგილი: ჰიბრიდულ ფორმატში, ბრიუსელი, ბელგია

[GlobalMethaneForum 2024](#)- მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO₂-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15-16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[ფოტოელექტრული კვლევის იტალიური ქსელის კონფერენცია - Conferenza Rete Italiana Ricerca Fotovoltaico 2024](#)

თარიღი: 11- 12 ივნისი, 2024

ადგილი: ბოლცანო, იტალია

[მე-12 საერთაშორისო კონფერენცია - საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და განათების ენერგოეფექტურობა \(EEDAL'24\)](#)

თარიღი: 25-27 ივნისი, 2024

ორგანიზატორი: JYURI Jyukankyo Research Institute Inc.

ადგილი: ქალაქი კიტაკიუშუ, იაპონია